№ 181 აგვისტო 23, ხუთშაბათი 1890 აგვისტო 23, ხუთშაბათი № 181

„Иверія“ (ежедневно).
КУТАИСЪ
2-й гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе.

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ქუთაისში, ბეჭედის ქუჩა, თ. გარსევანოვის მქელის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

ნიკოლოზ ავალიშვილი დიდის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ თავის მეუღლის თებრო სპირიდონის ასულის გარდაცვალებას და სთხოვს, რომ მობრძანდნენ ხუთშაბათს, 23 აგვისტოს, ავლაბარში, ფალავანდოვის ქუჩაზედ, სახლი № 6 და 8, ცხედარის განსასვენებლად წმ. მარინეს ეკკლესიაში, დილის 9 საათზედ. (2—2)

კნეინა ნატალია ნიკოლოზის ასული ბარათაშვილისა, ივანე, გიორგი და მიხეილ ნიკოლოზის ძენი კვესერელი კობახიძენი დიდის მწუხარებით აუწყებენ თავისის უსაყვარლესის დედის, სოფიო რომანის ასულის, გარდაცვალებას და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ, მობრძანდნენ პანაშვიდზედ, რომელიც ყოველ დღე იქმნება გადახდილი, დილის 11 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. დასაფლავების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული. ადრესი: კახეთის ქუჩაზედ, საკუთარს სახლებში. (2—1)

სასწავლებელი
**ს. ბ. ჭოლოყაშვილისა**
(ქუთაისში)
უეგზამენოდ ყმაწვილებს მიიღებს 15 სექტემბრამდე მასწავლებელ-აღმზრდელი ილარიონ დ. ძე ბოლქვაძე. (10—2)

## ახალი ამბავი

*** კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტ შერემეტიევის ტფილისში დაბრუნებას ამ თვის 28 მოელიან. მეორე დღეს მისი მაღალ-აღმატებულება ტფილისიდგან კოჯორს გაემგზავრება.

*** რკინის გზამ ტფილისის სადგურზე განკარგულება მოახდინა, რომ ბევრს ბარგს ნუ აიღებთ მსწრაფლ-მოსიარულე მატარებლებით წასაღებადაო, მაგალითად საფოსტო და სახალხო მატარებლით №№ 1—2 და სახალხო მატარებლით № 12, რადგანაც მატარებელში ალაგი არ არის, ნამეტნავად ხაშურსა და ტფილისს შუა. ხაშურში აგერ სამი დღეა, რაც საფოსტო და სახალხო მატარებლები, ბათუმიდგან ტფილისს მომავალი, დიდხანს ჩერდებიან, ვიდრე ბარგს მიიღებენ და მატარებელში ალაგს უპოვნიან. ამ მიზეზით მატარებლები გზაში თითქმის მთელს საათსა გვიანდებიან.

*** ორშაბათს, ამ თვის 20, ბათუმიდგან მომავალი მატარებელი № 1 ტფილისში ღამის პირველის ნახევარზე მოვიდა, თერთმეტის საათის მაგიერად. მიზეზი მატარებლის დაგვიანებისა ისა ყოფილა, რომ ბათუმსა და რკინის გზის სადგურ კოპიტნარს შუა, ციხის ძირთან, დამსხვრეულა საქონლის მატარებელი № 32, რომელიც ბაქოდგან ნავთით სავსე მოდიოდა. ამ უბედურების დროს დიდძალი ნავთი დაიღვარა, თუმცა ადამიანი-კი არავინ უმსხვერპლია.

*** დღეს შორაპნის მაზრის სოფ. პერევისადგან მოგვივიდა ქ-ნ ელენტია ამაშუკლის ასულ წერეთლისაგან გამოგზავნილი ფული 30 მანათი. ამ სოფელში 5 აგვისტოს გაუმართავთ წარმოდგენა განსვენებულ დ. ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულ ფონდისა და სოფ. პერევისას სასწავლებლის სასარგებლოდ. ზემოხსენებულ ფონდისა აქამდე გვქონდა 922 მან. 82 კაპ. ამითი იქნება 952 მან. 82 კაპ.

*** ბ-ნ გ. საძაგლოვი-ივერიელი შემდეგს მცირე საარხეოლოგიო შენიშვნასა გვწერს: დიდ ვახტანგ გორგასლანისაგან აშენებულ 1500 წლის ზემო-ნიკოზის დიდებულს ტაძარში, რომელშიაც სამღვდელ-მთავრო კათედრა იყო 1810 წლამდის, არის ერთი ძველის-ძველი არხეოლოგიურის მხრით შესანიშნავი ხატი მიძინებისა ყოვლად წმიდის ღვთის-მშობლისა. ხატი არ არის დიდის ზომისა, სიგრძით აქვს ცხრა და სიგანით რვა გოჯი. ეს ხატი გარშემო ვერცხლით არის მოჭედილი და ზედა აქვს მხედრულის ასოებით შემდეგი წარწერა: „ქ: ჩვენ მაჰაბლის ზურაბ სახლ-ხუცის ძემან ვახტანგ და თანამეცხედრემა ჩვენმა ამილახორის ასულმა გუქამ მოვაჭედინე ხატი ესე მიძინებისა, სულისა ჩვენისა საოხად და ძეთა ჩვენთა ალსაზრდელად. ქ-კსა უიზ.“ აქ იგულისხმება მეორე 532 წლიური მოქცევა ქართულის ქორონიკონისა. პირველი ქართული ქორონიკონი დაიწყო 780 წ. ქრისტეს შემდეგ და შესრულდა 1312; ამ 1312 წელს რომ მივუმატოთ უიზ (417 წ.), გამოვა, რომ ზემოხსენებული ხატი არის მოჭედილი 1729 წელს. თვით ხატი ფიცარზე არის დახატული და სიძველის ნიშანი აძევს, წამალი ზოგან გადასულია და ზოგან ფერი უცვლია; როგორც მხატვრობა გვიჩვენებს, უნდა ეკუთვნოდეს IX—XI საუკუნოებს. ხატის გარშემო შემოჭედილი ვერცხლი დასევადებულია და ზედ დიდის ხელოვნებით დახატულია თორმეტი საუფლო დღესასწაული. ეტყობა, ეს ხატი წინად შუა ეკკლესიაში დასასვენებელ ხატად ყოფილა, რომელსაც საუფლო დღესასწაულებში გამოასვენებდნენ შუა ეკკლესიაში, რომ ხალხს თაყვანი ეცა.

*** საოპერო თეატრში უკვე თავი მოიყარეს არტისტებმა, რეპეტიციებიც დაიწყეს და „საოჯახო ბალში“, ოპერის მუსიკის მაგიერ, სამხედრო მუსიკა უკრავს. როგორც ვთქვით, ამ თეატრში წარმოდგენები 30 აგვისტოდგან დაიწყება. ფორკატი-კი 15 სექტემბრიდგან ჰკიდებს ხელს საქმეს. იმის სიტყვით, ჯერ კრაპივნიცკის დასი დაიწყებს წარმოდგენებს, შემდეგ რუსული ოპერეტი, საშობაოდ—რუსული დრამა და მერე იტალიანური ოპერა. დიდ-მარხვაში რამდენსამე წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს იტალიელი არტისტი-ქალი ქ-ნი დუზე და გერმანული დასი პარადიზისა. ჯუჯა და ქონდრის კაცები-კი სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩამოვლენ. სასურველია ვიცოდეთ, ამ ქართულის დასისას რაღას აპირებენ? დრამატიული საზოგადოება ჰზრუნავს ამ საქმისთვის რასმე, თუ ისევ ძველებურადვე გაჭიანებული იქნება საქმე?!

*** ბორჯომი, 17 აგვისტო: დადგა თუ არა ეს თთვე, თან ჰაერიც აგრილა. წინამორბედი შემოდგომისა ნელ-ნელა გვაგრძნობინებს, რომ აგარაკად ყოფნის დღეები დათვლილია. კიდევ ერთი-ორი კვირა და წმინდის ჰაერით სუნთქვას, სულითა და ხორცით დასვენებას აქაურ მდიდარ ბუნების კალთაზე, მთვარიანს

## ფელეტონი

### დროთა ბრუნვა
(დრამა ოთხს მოქმედებად)

მომქმედნი პირნი:

თავ. თამაზ შრატიშვილი (მეტი გვარია) 50 წლისა, ქართული კაბა აცვია ვერცხლის ქამრით და გძელ თეთრ პარუსინის შალვრით; თეთრი კიზიროკიანი ქუდი ჰხურავს.

კნ. ბაბე. ამისი ცოლი, 45 წლისა, ქართული შავი ტანისამოსი აცვია.

სოლომ. ამათი ვაჟიშვილი, 22 წლისა, თელავის საქალაქო სასწავლებელში უსწავლია; ქართულად აცვია; მესამე მოქმედებაში კაკარდიანი ქუდი ჰხურავს.

მელო. ამათი ქალი, 18 წლისა, თელავის წმ. ნინოს ზავედენიაში კურსი აქვს დამთავრებული; ევროპიულად აცვია.

თავ. გიორგი კვირიკაშვილი (მეტი გვარია)—25 წლისა, სოფლის მასწავლებელი, გორის სემინარიაში კურს დამთავრებული; უბრალო ევროპიული ტანისამოსი აცვია.

სოლომონა იალალაშვილი (მებურნუთიშვილი)—60 წლისა, ვაჭარი; ევროპიულად აცვია, აბრეშუმის საზაფხულო ტანისამოსშია, თავზე კიზიროკიანი ქუდი ჰხურავს.

საღომე—50 წლისა, ამისი ცოლი; ქართული სადა შავი ტანისამოსი აცვია, დაბალი თავი ჰხურავს.

გიგო—ამათი ვაჟიშვილი, 25 წლისა, ევროპიულად აცვია მოდაზე.

მაია ქვახარშიანთი—60 წლისა, თელავის მოქალაქის ქვრივი.

ლუკა } იალალაშვილის ახალგაზრდა
სანდრო } პრიკაშჩიკები. აცვიათ გრძელი შალვრები, ახალუხზე მოკლე პალტოები და კარტუზები ჰხურავთ.

მოქმედება სწარმოებს თელავში ჩვენ დროს.

პირველი მოქმედება.

(შრატიშვილების სახლში)

(სცენა წარმოადგენს სასტუმრო, ოთახს უბრალოდ მორთულს; პირდაპირ ტახტი ხალებით დაფენილი, მარჯვნივ და მარცხნივ სტოლები სკამებით; სამივე მხრით კარებები)

—

#### I გამოსვლა.

მელო მარტო

მელო. (სკამზე ზის, თავი კედელზე აქვს მიყუდებული; რამდენსამე ხანს სიჩუმეა) ნეტავი სად არი აქამდის? წინად რო წავიდოდა სადმე, საქმეს არ დაამთავრებდა, უკან მორბოდა ხოლმე; თუ გაუძნელდებოდა, წიგნი წიგნზე მომდიოდა ხოლმე, ეხლა-კი რა ვიცი, რაღაც ისეთი საქმე გაუჩნდა, რო ერთი წამი მოსვენება არა აქვს. მერე გიორგის გურჯაანში რა საქმე უნდა ჰქონდეს, რომ თთვეში სამჯერ წასვლა უნდება და მერე თითო კვირასა რჩება იქა? აღარც აქ უდგება გული,—ეტყობა, რა მოუთმენლობითაც ელოდება, ჩქარა დაღამდეს, დღე გავიდესო; რომ არც ამბობს, რა საქმეზე ალევს ამოდენა დროს, იმის მაგიერად, რო ჩემთან იყოს; მერე გაიგებო! ნეტავ რა არის? მერე ჩემი მოშორება რომ აღარცა სწყინს ხოლმე! არა, როგორ არა სწყინს, რას ვამბობ, ისეთი საქმე ექნება, რომ სუ გუნებას უფუჭებს... მაგრამ როცა ჩემთან არის, ყველა უსიამოვნობა არ უნდა დაივიწყოს ხოლმე? მაშ მოსწყინდა ჩემი სიახლოვე? იქნება?.. (ადგება) არა, არა, არა! გიორგი და იმისთანა! როგორ წარმოვიდგინო, რო გიორგი ვისმე ისე დაუახლოვდეს, როგორც ჩემთან არის დაახლოვებული?.. რა რიგ გავტუტუცდი!.. უქმეფოდ რომ ვარ, იმიტომ მომდის! რაც გიორგი გურჯაანში წავიდა, გულ-ნაღვლი დამჩემდა, რაღაც სისუსტესა ვგრძნობ, სულ თავის ტკივილი მაქვს და რეტიანივითა ვარ. დედამ მითხრა, უთუოდ გაციებს, ქინაქინა დალიეო. მაგრამ არა მშველის; ვატყობ, რომ გულ-ნაღვლი დღითი დღე მემატება, რაღაც ხასიათიც გამიფუჭდა, რაღაც უბედურება დამტრიალებს თავსა, გულზე სუ ბოლმა მაწვევს, ღამე-კი ძილი არ მომდის. გიორგი რო გვერდითა მყავდეს, ხომ არც-კი გავიფიქრებდი რასმე.. ნეტავ სად არის აქამდის? ხვალ-ზევით მოვალო და დღეს მერვე დღეა წასვლის შემდეგ (შასტებაა) მგონია გიორგის ფეხის ხმაა! (კარებისაკენ მიდის)

#### II გამოსვლა

იგივე და გიორგი შემოდის

მელო (მოეხვევა) სადა ხარ, გიორგი, სადა ხარ აქამდის? განა ასე დატანჯვა შეიძლება? გული მისკდება, ხან რასა ვფიქრობ, ხან რასა. ავად ხომ არ იყავი?—საქმე დაგაბანდებდა! გაათავე, მორჩი შენს საქმეს, რომ აღარ მოგინდეს ხოლმე იქ წასვლა!.. სთქვი, გაჯავრებული ხომ არა ხარ ჩემზე? როგორი გაჯავრებული სახე გაქვს! აბა შემომხედე, შემომხედე!

გიორგი. (ხელებს იცლის) დაიცა! საქმე არა გაქვს?

მელო. (არა ჰხსნის) ნუ მაწყენინებ, შენი ჭირიმე!

გიორგი. ჰო, კარგი, სულ ხომ ესე მოხვეულები არ უნდა ვიყვნეთ? რომ შემოვიდეს ვინმე, ხომ გაგიტყდა სახელი.

მელო. (მოხსნის ხელებს) მეხუმრები, თუ მართალს ამბობ?

გიორგი. სახუმარი აქ რა არის, შენგან არ მიკვირს? რატო ეგრე ბავშვივით ლაპარაკობ? აბა ერთი მითხარ, მოხვეულები რომ ვინმემ გვნახოს, ძალიან მოგეწონებენ? სწორედ მაკვირვებ უცნაურის ლაპარაკით.

მელო. გიორგი, რაებს მეუბნები, ვერ გამიგია! წინად როდის ილოდი მაგრე ლაპარაკი?

გიორგი. შენც მოჰყვები—წინად, წინად! წინადაც ამას ვამბობდი და ეხლაც ამას ვამბობ.

მელო. ნუ მეუბნები, გიორგი, მაგისთანაებს, გულს ნუ მიტეხავ; მომექეცი ისე, როგორც წინად მექცეოდი ხოლმე, შენ ხომ ჩემთვის ყველაფერი ხარ. შენზე კარგი ქვეყანაზე არავინა მგონია, გულს ნუ გამიტეხ შენი ჭირიმე.

გიორგი. მოჰყევი შენცა! მე ყოველთვის ერთნაირი ვარ; შენ-კი, რა ვიცი, რაღაც გემართება.

მელო. (მივა, უნდა მოეხვიოს) მაშ მეხუმრებოდი?

გიორგი. (უკან იწევს და იშორებს) კარგი, ქალო, ექ არავინ შემოვიდეს. დღეს ძალიან გრძნობა მორეული ხარ, სიყვარული ხომ არ დაგმძლევებია?

მელო. (უკან დაიწევს) რას მეუბნები?.. არა, არა, მართალსა ვფიქრობდი! (ტირის).

გიორგი (გაჯავრებული დადის) ფუ, ეს ოხერი! ამისთანა სასაცილო მდგომარეობაში ჩემს დღეში არა ვყოფილვარ! ცრემლი და ცრემლი,—რა რიგ მეჯავრება! (მიუახლოვდება) ქალო, თუ ღმერთი გწამს, მორჩი ტირილს, ვინმე დედაშენი არ შემოვიდეს, რას იტყვის?

მელო. ჩემს ოთახში წავალ და ჩავიკეტები, ვერავინ დამინახავს.

გიორგი. მაშ ნახვამდის, მეც წა-

ღამეებში სალის კლდეების ცქერას, დაუერცხლებულ მტკვრის დუდუნს,— ყველა ამას უნდა გულ-დაწყვეტილები გამოვესალმოთ. უნდა გამოვემშვიდობოთ ყველაფერს, რაც არ გვაგონებს ქალაქის ამტვერიანებულს ქუჩებს, ოთახებში მომწყვდევას, რაც გვავიწყებს ცხოვრების ჩოჩქოლს და დღიურ ვარამისთვის ზრუნვას. ისევ ქალაქისაკენ უნდა ვიბრუნოთ პირი და აქაურობას მომავალ ზაფხულამდე თავი დავუკრათ. „პარკის" სტუმართა რიცხვი, რაც დრო გადის, თანდათან მცირდება. არა სტოვებენ მხოლოდ ბეჯითი, გულ-მოდგინე ბანქოს მოთამაშენი და დილის რვა საათიდგან შუა-ღამის მიწურვამდე მწვანე სტოლებს უსხედან. მოსვლისთანავე ბანქოს დაუკრეს თავი და მას აქეთია ერთხელ თვალში ამოღებულს მიზანს არა ჰღალატობენ. ბარაქალა!.. გაუტკბა აქაურობა ცირკის პატრონ ნელსონსაც და რაც შეუძლიან, ცდას არ აკლებს, რომ ხელი კარგად მოითბოს. მაყურებელნი ისე ეხვევიან, როგორც თაფლს ფუთკარი, და აქედგან გულ-ნაკლულს არ გაისტუმრებენ. ამ უკანასკნელს დროს ბევრმა არტისტმა გვაჩვენა თავისი ხელოვნება. 16 ამ თთვისას ქალბატონმა ძნელაძისამ და ბ-ნმა ცხომელიძემ უკანასკნელად გამართეს კონცერტი და კვლავ გვასმინეს თავის მშვენიერი ხმა. ხალხი ეხლა გაცილებით მეტი დაესწრო, ვიდრე პირველ კონცერტზე (3 ამ თთვისას), და ფულიც წმინდად რვა თუმანი დარჩათ. ისეთი საერთოტაში კვრა იყო, ისეთის თანაგრძნობით მიეგება ხალხი, რომ მგონი ამ ზაფხულს არც ერთს მეკონცერტეთაგანს არა ჰღირსებია. მეტს დაფასებას ვერც საზოგადოება შესძლებდა და არც ქ-ნი ძნელაძისა ითხოვდა. ქ-ნმა ძნელაძისამ კვლამ მოგვასმინა ნაზის ხმით წინად ნამღერი „გულნარა" და სხ. ამასთანავე არ შეგვიძლიან ქ-ნ ძნელაძისას არ ვუსაყვედუროთ, რომ ქართულ ენაზედ მარტო „გულნარის" მღერას დაგვაჯერა. ცხომელიძემაც მხოლოდ ერთი ქართული სიმღერა სთქვა. იმედი გვქონდა, რომ სამშობლო ხმას ორზე მეტს იტყოდნენ. ღამის 11-ზე კონცერტი გათავდა. ნაცნობები გამოესალმნენ, მეკონცერტეებს მადლობა გამოუცხადეს და გზა დაულოცეს. დღეს ორივენი ქუთაისში დაბრუნდებიან.

*** ზემო იმერეთი. 13 აგვისტოდგან ზემო-იმერეთში მოგზაურობს მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ეკლესიების საკურთხევლად და სამრევლო სასწავლებლების დასათვალიერებლად. ყოვლად სამღვდელო, სადაც-კი მიბრძანდება, ყველგან ჩვეულებრივ მამაშვილურს დარიგებასა და ქადაგებას ეუბნება ხალხს. მისი მეუფება ამ თთვის დამლევს ზემო-იმერეთიდგან რაჭაში აპირობს წაბრძანებას.

*** იქიდამვე: ჩვენში ძალიან არის გავრცელებული ერთ ნაირი სახადი და საკმაოდაც იმსხვერპლა ხალხი. მუცელა და წითელაც გახშირებულია.

*** დიდი ხანია მთავრობა დარწმუნდა, რომ მარტო იმიერ-კასპიის რკინის გზა არა კმარა რუსეთის და შუა-აზიის ვაჭრობისათვის, მეტადრე ომის დროს, როდესაც სავაჭრო საქონელი სრულიად არ წაიღ-წამოიღება ამ გზით. ამისათვის მთავრობას უნდოდა, ან მეორე რკინის გზა გაეყვანა და ან წყალზედ სასიარულო გზა გაემართა. უფრო იმასა ჰფიქრობდა, რომ მდ. ამუ-დარია არხით შეერთებინა კასპიის ზღვასთან, რადგან იმას გარდა, რომ გზა გაიხსნებოდა, მრავალი ურწყავი ადგილიც სარწყავად იქცეოდა და ბამბის მოყვანას ხელს შეუწყობდა. ეხლა გზათა მინისტრმა ორი პროექტი შეადგინა ამ არხის გაყვანისა. ერთს პროექტში ხარჯი 40 მილიონია აღნიშნული, მეორეში— 27 მილიონი. როდესაც სამხედრო მინისტრმა განიხილა ეს პროექტები, ძლიერ საჭიროდ იცნო არხის გაყვანა ამუ-დარიიდგან კასპიის ზღვამდე და ამას გარდა ისიცა სთქვა, რომ ტაშკენტიდგან ორენბურგამდე რკინის გზაც უნდა გაეიყვანოთო, რადგან ეხლანდელი იმიერ-კასპიის რკინის გზა საკმარისი არ არის და ბევრი სავაჭრო საქონელი ისევ ქარავნებით მიაქვთო. რადგან სამხედრო მინისტრმა ეს აზრი წარმოსთქვა, ამიტომ ცალკე კომისია შესდგა, რომელმაც დაწვრილებით უნდა გამოიკვლიოს, სად და როგორი გზები უნდა გაკეთდეს შუა-აზიაში ვაჭრობის გასაძლიერებლად. როგორც „С. Пет. Вѣст." შეუტყვია, ამ კომისიის წევრებად დანიშნულნი ყოფილან შინაგან საქმეთა, ასამხედრო და გზათა სამინისტროების წარმომადგენლები, სხვა-და სხვა სამეცნიერო და სავაჭრო-დაწესებულებათა წევრნი და შუა აზიის სადიპლომატიო და საფინანსო აგენტები.

*** ამ თთვის 21 ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში ელექტრონის მემაშინეს თანაშემწემ ტფილისის მცხოვრებელმა სტეფანე ფოლადოვმა თავი მოიწამლა მორფით. ფოლადოვი სამკურნალოში გაჰგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

*** 20 ამ თთვისას პოლიციის მერვე ნაწილში, ტატიშჩევის ტრაქტირში, შაქრო გოგიძე წაეჩხუბა გლახა გოდერძიშვილს, ლუდის ჭიქა დაარტყა და ძალიან დაშავა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსეთის წარსული ლიტერატურა—და ვგონებთ არც ახლანდელი იყოს ცალიერი—სავსეა ცენზორების ახირებულ საქციელის მაგალითებით. აი ეხლა კიდევ „Русская Старина"-ში დაბეჭდილია მოგონებანი ქ-ნ ე. ახმატოვისა და შიგ რამდენიმე სასაცილო ამბავია მოთხრობილი მე-40—50 წლებისა, როდესაც „Библіотека для чтенія" გამოდიოდა. აი რასა სწერს ქ-ნი ახმატოვისა.

სენკოვსკიმ ერთის ინგლისურ ჟურნალიდგან გადმოთარგმნა მოთხრობა ვიღაც მოგზაურისა, რომელსაც დათვი დასდევნებოდა ამერიკის ტყეში, ხეზედ ასულიყო და უეცრად იქ ჯოხ მოღერებული მაიმუნი კი დახვდროდა. ეს მოთხრობა ცენზორმა დაიჭირა. მთარგმნელი თითონვე წავიდა ცენზორთან მოსალაპარაკებლად და აღმოჩნდა, რომ პატივცემულს გონების დარაჯს, ნათარგმნად-კი არა, თვით იმის თხზულებად ჩაეთვალა. იმის აზრით, ხე, მგზავრი და დათვი ავსტრიასა, ვენგრიასა და რუსეთსა ჰნიშნავდა, დიდი მაიმუნი-კი ჯოხიანთურთ ისეთს ვინმეს, რომლის დასახელებაც ცენზორს ვერც-კი გაებედნა. სენკოვსკი იძულებული შეიქმნა საცენზურო კომიტეტში დედანი წარედგინა და ისე მოეწერინებინა ხელი.

ერთს ჩვენს მოთხრობაში მთელი სცენა, სადაც ნათქვამია, რომ ერთმა უმაწვილმა კაცმა მეორე გამოითხოვა დუელშიო, სულ ერთიანად ამოშალა ცენზორმა. მივედი მოსალაპარაკებლად და მითხრა, რომ დუელი რუსეთში კანონით აღკრძალულია. ასე გადამაკეთებინა მთელი მოთხრობა. მეორე მოთხრობაში კიდევ მომთხოვა, რომ რუსი არისტოკრატი უცხო ქვეყნად გადანათლო.

აქვე გიამბობთ ერთს სასაცილო ამბავს, რომელიც „С.-Петерб. Вѣдомости"-ს მოთხრობას დაემართა. ეხლა შინაარსი კარგად არ მახსოვს, ხოლო რუსოსა და ქ-ნ დიუბარის შესახებ-კი იყო ლაპარაკი. წარმოიდგინეთ ოჩკინის გაოცება, რომ ცენზორს ამ მოთხრობისათვის ბოლო თითონ შეეთხზა და რუსოსთვის ქ-ნ დიუბარიზედ დაეწერინებინა ჯვარი. „ზნეობა ითხოვს ამასაო", დაეწერა ზედ.

ამ ამბავმა გამახსენა ერთი მეორე ამისთანავე ამბავი. რომელიღაც კომედიასა, თუ ვოდევილში ერთს ქმრიან ქალს ვიღაც არშიყი დასდევდა. ცენზორმა ამ უმაწვილს კაცს ერთ ადგას „განზედ" ათქმევინა, „მაინც-კი ამისი შერთვა მინდაო".

ვიღამაც თავის იერუსალიმში მოგზაურობა დასწერა და ერთს ადგილას ნათქვამი ჰქონდა, რომ ცუდი ლუდი იცის ქალაქს ახლო და ჩქარა სცვივა მოგზაურებიო. ცენზორმა ეს ადგილი ამოშალა და გვერდზედ წააწერა: «იქნება მაგ რომელისამე ხის ქვეშ მაცხოვარს დაესვენოსო».

რუსულ რომანებსა და მოთხრობებში აკრძალული იყო დაბადების დღის მილოცვა და საყვარლის ქალის „ზეცის ანგელოზად" წოდება.

**

რუსეთის წარსულზედ ჩამოვარდა ლაპარაკი და ბარემ აქვე აღვნიშნოთ მე-30 წლების სასაცილო ამბავი, რომელსაც ბ-ნი ნ. ტ. მოგვითხრობს „Историческій Вѣстникъ"-ში. იმ დროს სასტიკად ჰქონდათ აღკრძალული სამხედრო სასწავლებლის მოწაფეებს თეატრში სიარული. ერთს არტილერიის სასწავლებლის მოწაფეს ძალიან უნდოდა წასვლა, ბოლოს გაბედა, სამოქალაქო ტანთსაცმელი ჩაიცვა და წავიდა. წარმოიდგინეთ იმისი მდგომარეობა, როცა დაინახა სასწავლებლის უფროსი პოლკოვნიკი კ., რომელიც გვერდით უჯდა და უმაწვილ კაცს შესჩერებოდა. თავი შეიმაგრა მოწაფემ კ—ნმა და ჰკითხა უფროსს:

— გგავარ განა, პოლკოვნიკო, ჩემს ძმას, თქვენს მოწაფეს?

— ჰო, ჰო! ძალიან, საკვირველად ჰგავხართო, უპასუხა კ—მ.

— მართალსა ჰბრძანებთ, ყველანი გვამსგავსებენ. მითხარით, პოლკოვ-

---

ვალ, მოვისვენებ, თორემ ძალიანა ვარ დაღალული.

მელო. (გამოართმევს ხელს და თვალებზე მიიდებს) ნუ მტანჯავ, რას მიშვრები? ნურსად ნუ წახვალ, უშენოდ ვერ გამიძლია.

გიორგი. (გამოაცლის ხელს) ახა, ღმერთო ჩემო, ესე რომ არ შეიძლება! რა გატირებს, ქალო, რა გატირებს, ერთი მითხარ? თუ ტირილს არ მორჩები, ეხლავ წავალ, სირცხვილია!

მელო. (თვალებს იწმენდს) აი, გიორგი, აღარა ვტირი! (ისევ ტირილს დაიწყებს) შენი ჭირიმე, ნურსად ნუ წახვალ, ეხლავ გავალ, პირს დავიბან. არსად წახვალ? მითხარ არსად წახვალ?

გიორგი. არა, არა, არა!

მელო. ეხლავე მოვალ. (გადის).

### III გამოსვლა

გიორგი მარტო

გიორგი. (გაჯავრებული ბოლთასა სცემს ოთახში) ფუ, რა სულელი ვარ, რა სულელი! ამისთანა სასაცილო მდგომარეობაში ჩემს დღეში არა ვყოფილვარ და არც არას დროს არ ჩავვარდები. ასე ქალის შეჩვევა როგორ შეიძლება! სადმე მიდიხარ, მოგტირის, მოხვალ—დაგტირის. სიყვარულიო, სიყვარულიო! ამ ჰასაკში ადამიანს რა სიყვარული შეუძლიან. არა, არა, ჩემს დღეში ჩემს თავს არ ვაპატიებ ამისთანა უხეირობას! მერე როგორ შემეჩვია! მეც ერთ დროს როგორ ვიყავი შეჩვეული ერთს ადგილას ვერ მომესვენა! გადავირიე, ვეხვეოდი, გულში ვიკრავდი, ვეუბნებოდი, რომ შენა ხარ ერთად-ერთი ჩემი სიცოცხლის საგანი მეთქი! ფუ, როგორ შეუძლიან ვაჟკაცს დამცირება, რა სისულელე არ მითქვამს! ადვილია ეს ოხერი ქალთან დაახლოვება, მერე როგორი დაახლოვება!.. ფი, რა არ გაიგე, ისეთი, რასაც წინად აზრადაც ვერ წარმოიდგენდი! მერე რა ძაღლური შეჩვევა იცის დედაკაცმა! არა, არა, ჩემზე სასაცილო ეხლა მგონია ქვეყანაზე არავინ იყოს! თითონაც როგორ გაფუქდა: რაც უნდა დასამალი იყოს, არ მიმალავს: თამარი? მელო შეედრება-კი? ისეთი უმანკოა, რომ, ხელს რომ მოუჭერ ხოლმე, თმების ძირებამდის გაწითლდება. როცა ვშორდები, როგორ დაღონდება ხოლმე! მალე გადმოივლიო? სხვა არაფერს იკითხავს. მელო-კი სუ მეხვევა, ტირის, მაყვედრის,—სად მიხვალ, როდის მოხვალ, რას დაიგვიანეო? ასე ჰგონია, თავისუფალი არ ვიყო ჩემს ყოფაქცევაში! არა, არა, ტუტუცი ვარ, ბრმა ვარ! ასე ხელ-ფეხის შეკვრა ხომ დამღუპავს ჩემს ახალგაზდობას! ერთი ღარიბი მასწავლებელი ვარ, გაკოტრებული თავადი, მელოსაც არაფერი აქვს. მაშ ესე უმადურად გავატარო სიცოცხლე! არა, უნდა ანგარიში გავუსწორო, მაინც ხომ სიტყვა არავისთვის მიმიცია, თუმცა თელავი მელოს საქმროდა მთელის. ჰო, თელაველები ისეთი ტუტუცები არიან, რომ ყურადღების ღირსნიც არ არიან. მელო ხომ ხმას არ ამოიღებს, ისეთი ამპარტავანი ხასიათი აქვს. მალე მივუტანო თამროს ნიშანი, ზედ სიძედ შევალ; [illegible] მომივიდა, ქალს ძალიან მოსწონხარ, დედ-მამაც უარს არ არის, მთელ მამულს შენზე ამტკიცებენო; თანაც მკითხა, მელოზე ხომ არა ხარ დანიშნულიო? რას ამბობ, თელაველების ჭორებია, არ იცი, რა ჭორიანი ხალხია-მეთქი! კარგადა ვარ მიღებული იმათ ოჯახში, იმისთვის ამბობენ მეთქი! ფული უნდა ვიშოვნო. იალალაშვილის იმედი მაქვს, ჰო, მაინც მალე დავუბრუნებ, გურჯაანის მამული ხომ ჩემი იქნება. ოღონდ კი ეს საქმე გაეჩალხოს! აბა, როგორ უთხრა პირდაპირ,—ძნელია! ატყდება ტირილი, გული შეუღონდება, ქვეყანა გაიგებს! არა არ ვარგა! (დაფიქრდება) ისევ ისა სჯობს, მოვშორდები დღესვე, ცოტა რომ გადამეჩვევა, ერთი ორის კვირის შემდეგ ჯვარს დავიწერ. ესეც ასე! ახლა უნდა გამოვიდეს რაღა, იტიროს, იგმინოს, თავი ამატკიოს. არა, ძალიან უგუნურად მოვიქეცი, ღარიბს გადავეკიდე! ამაზეა ნათქვამი: მკვდარი მკვდარს აეკიდა, სამარემდის წამიღეო! ნეტავი ვინმე მოჰყვეს და მარტონი არ დავრჩეთ.

### IV გამოსვლა

იგივე და მელო

შემოვა და მოშორებით დადგება. რამდენიმე ხანი სიჩუმეა.

გიორგი. აბა ასე არა სჯობს? ცრემლი არავის არ უხდება.

მელო. რასაკვირველია, ძარღვებს გიშლის ჩემი ცრემლი.

გიორგი. არა, ყვედრება იცი, თორემ...

მელო. გეჯავრება განა! ყვედრება კი არა, ჩემი სიახლოვეც გეზიზღება! ჩემი ალერსი სასაცილო გგონია ეხლა... ახალი ხილი აღარ არის განა! ვიფიქრებდი-კი თავის დღეში; რომ ასე მოსაწყენი გავხდებოდი! ოხ, ღმერთო!

გიორგი. კიდევ დაიწყე, ქალო!

მელო. ჰო, კარგი არც ერთ საყვედურსაც არ გაიგებ ჩემგან. აშკარადა ეხედავ, რომ მოგწყინდი, და ეხლა თავიდგან გინდა მომიშორო. ნუ გეშინიან, შენა გგონია, რომ დაგეჭიდები! წადი, წადი, ქვეყანა ფართოა, შენს გემოვნებაზე იშოვნი, რამდენიც გინდა. ჩემის თავისა მე ვიცი, შენს საზრუნველს არ გავიხდი! ან მე სულელს რა მეგონა ჩემი თავი? რატომ ერთხელ არ მომივიდა ფიქრად, ღირსი ვარ გიორგისა თუ არა? არა ვარ ღირსი მაშ? გიორგი ისეთი ჭკვიანია, პატიოსანი, განა ჩემისთანის სიყვარულის ღირსია? წადი, წადი, საითაც გინდა, ნულარ მოხვალ, იქნება გურჯაანში უფრო ღირსეული იშოვნო! ერთს საყვედურს აღარ გაიგებ, ჩემგან! ისეც ბევრი დავიმცირე თავი. იმიტომ უფრო გეზიზღები; აბა ერთი შორს დამეჭირა თავი, თუ ფეხთით არ გამშლოდი, მაგრამ რას იზამ, როცა სიყვარული პირდაპირ გცოდნია! როგორი მოუთმენლობა გეტყობა! წადი, წადი, რაღასა დგეხარ: ქვეყნისა გრცხვენიან? მე გებრალები? ჩემი დედმამა გებრალება? ნურაფრისა გეშინიან, ყველაფერი მე მიტვირთენია. ან იქნება გგონია, რომ უშენოდ თავი მოვიკლა? ტყუილი იმედი იქნება! აჰ, მეც გავსულელდი, ასე გგონია ეხლა შენთვის სულ ერთი არ არის, ცოცხალი ვიქნები, თუ მკვდარი? არა არ მოვკვდები, არ მოვკვდები! იმედი გამიცრუვდეს და სიცოცხლეც გავიცრუო? არა, წადი, უშენობასაც შევეჩვევი: დრო და მანძილი ქვეყნიერების ღერძია!

გიორგი. გთხოვ დამშვიდდე! აღელვებული ხარ, წყალი დალიე.

მელო. როგორი ურიასავით აქეთ-იქით იხედები, არავინ ამ ყოფაში არ მოგვასწროსო; რისა გეშინიან—თუნდ რომ შემოვიდნენ კიდეც, ერთმანეთს ხომ არ ვეხვევით.

გიორგი. ძალიან ცუდად მექცევით.

მელო. თქვენ? ურიას შეგადარე განა? გაწყენინე? პირველია განა ჩემგან წყენა? არა ხართ დაჩვეული? თქვენ გინდათ, რომ თქვენი ყურ-მოჭრილი ყმა ვიყო! ახლა გვიანღაა; მზე დასავლეთიდგან არ ამოდის. აკი სულელი მონა ვიყავი შენი; ეხლა-კი უკაცრაოდ. რაზე უნდა გემონო! იმისთვის, რომ ჩემი სიყვარული, რომ ჩემი მთელი სული და ხორცი ფეხქვეშ ამოიდე, გასთელე და ეხლა ფეხიცა ჰკა-

ნიკო, როგორა სწავლობს ჩემი ძმა და ხომ კარგად იქცევა?

— სწავლით არა უჭირს რა, მაგრამ ცელქია, საშინელი ცელქია.

— თუ ღმერთი გწამთ, დასტუქსეთ და უთხარით, რომ მშობლებს ძალიანა სწყინთ აგეთი საქციელიოქო.

შემდეგ მასწავლებელმა და მოწაფემ სხვა საგანზედ ჩამოაგდეს ლაპარაკი. ანტრაქტის დროს კ. ბუფეტში შევიდა და ე—ნიც უკან გაჰყვა. აქ ყმაწვილმა კაცმა ერთი ყუთი კონფექტი იყიდა, გადასცა კ—ნს და სთხოვა, რომ ჩემს ძმას მიუტანეთ და უთხარით, დაუჯკვიანდეს, ნუღარ იცელქებსო. წარმოდგენის გათავების შემდეგ კ—ნი მოვიდა სასწავლებელში, ჩამოუარა მძინარე ყმაწვილებს, მივიდა იმასთანაც და გაღვიძება დაუწყო. ე—ნი სწრაფად წამოვარდა ფეხზედ.

— თეატრში ვიყავიო, უთხრა პოლკოვნიკმა: და თქვენი ძმა ვნახე. მშვენიერი ყმაწვილი კაცია... იმას მაინც მიჰბაძავდეთ. კონფექტი გამოგიგზავნათ, აჰა, გამომართვით.

ცოტა ხანს უკან ეს ამბავი გამომჟღავნდა. სასწავლებელში იმპერატორი მივიდა, დაათვალიერა იქაურობა და წასვლის წინად ე—ნი დაიბარა. საბრალო ბავშვი კანკალით მიუახლოვდა იმპერატორს.

— აბა, არნაუტო, მიამბე, როგორ იყავი თეატრში, და არა დაჰმალო-რა-კი.

ე—ნმა ყოველივე გულ-ახდილად აღიარა.

— ბედნიერი ხარ, რომ არა დაჰფარე-რაო, უპასუხა იმპერატორმა: მაინც-კი შობიდგან ნათლიღებამდე ნუ დაითხოვთ დღესასწაულებშიო.

ამითი გადარჩა თურმე ყმაწვილი კაცი, პოლკოვნიკი-კი სამსახურიდგან დაითხოვეს.

◆◆

# რუსეთი

პეტერბურგის გუბერნიის ერობათა კრებათ შემოდგომაზე უნდა განიხილონ ის საგანი, რომ მცირე წლოვან ყმაწვილებს აღეკრძალოთ სიარული სასმელების დუქნებშიო, ცალკე წესდება უნდა შეიმუშაონ და გამოსცენ.

— სამკურნალო დეპარტამენტმა შინაგან საქმეთა სამინისტროსამ განკარგულება მოახდინა, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს მეტყევეთა და მეტივეთაო. ეს ხალხი ნიადაგ ზღვისა და ტბების პირად და ტყეებში მუშაობენ, მალე სნეულდებიან და უდროვოდ იხოცებიანო.

— გარეშე საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა, რომ ამიერიდგან რუსეთის ელჩებად უცხო სახელმწიფოებში მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომნი დაინიშნონ ხოლმეო.

— ხმა დადის, ვითომ მთავრობას განზრახვა აქვს, შეადგინოს კომისია სხვა-და-სხვა დაწესებულების წარმომადგენელთაგან და მიანდოს იმის გამოკვლევა და განხილვა, თუ რა რიგად მოეწყოს გლეხების ერთის ადგილიდგან მეორეზე გადასახლების საქმეო.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს ყურადღება მიუქცევია იმისთვის, რომ ცეცხლის ქრობის საქმე სოფლებში და ქალაქებში უფრო უკეთესად მომართოს, ვიდრე ამ ჟამად არისო. ამასთანავე სამინისტრო იმისათვისაც ჰზრუნავს, რომ სახლებიც უკეთესს გეგმებზედ აშენდეს—ისე, რომ ცეცხლის გაჩენის დროს ცეცხლის მქრობელი რაზმი ადვილად მიუდგეს და მალე გააქროსო.

— ურალის სამთო მრეწველები შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, ნება მოგვეცით სამთო გამოფენა გავმართოთ მოსკოვშიო. ამ გამოფენას იმ აზრით ჰმართავენ, რომ შიდა გუბერნიების მცხოვრებელთ გაიცნონ ნაწარმოები სამთო მრეწველობისა. ნიმუშები მოვა პერმისა, ვიატკისა, ორენბურგისა და ამათ მახლობლად მყოფ გუბერნიების ქარხნებიდგან.

— მუდმივმა კომისიამ სატეხნიკო განათლებისამ გადასწყვიტა, დრო-გამოშვებით პრემიები დანიშნოს ხოლმე უკეთეს წიგნაკების შემდგენელთა დასასაჩუქრებლად. წიგნაკები სატეხნიკო შინაარსისა უნდა იყოს და ქარხნებში მომუშავე ხალხისათვის გასაგების ენით დაიწეროს.

— უგლიჩის მაზრაში ერთ ნაირი ხერხი შემოუღიათ იქაურ ქურდ-ბაცაცებს ფულის ადვილად საშოვნელად. დასწერენ თურმე წერილს რომელისამე კაცის სახელობაზე და მიუგდებენ სახლთან, აქა და აქ ამდენი და ამდენი ფული დააწყე, თორემ ამასა და ამას გიზამთო. ისეთ ნაირად გახშირებულა ამ ნაირი წერილები, რომ მაზრის პოლიციაც ჩარეულა საქმეში. უძებნიათ ეს ახირებული კორესპონდენტები და ერთის გასათხოვარ ქალისათვის წაუვლიათ ხელი. ეს ქალი, გვარად აკულინა კუზმინა, მოთავე ყოფილა თურმე მთელის ბრბოსი, რომელიც განსაკუთრებით ამ ხელობას მისდევდა. აი ერთის წერილის შინაარსი, რომელიც აკულინა კუზმინას მიუწერია გლეხ ანდრია უმენიცინასთვის: «ჩვენ, სახლების ცეცხლის წამკიდებლები, სულ ათნი ვართ. კაცის თავზე ორ-ოლი თუმანი მოგვეცი. თუ ჩვენს სიტყვას არ შეასრულებ, იცოდე, სახლს გადაგიწვავთ და შენც საიქიოს გაგისტუმრებთ“. როცა ეს ქალი დაუჭერიათ, ყველაფერში გამოტეხილა.

— ამას წინად სოსნიცკის მაზრაში შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა: სოფ. სიმონოვიჩინაში მამასახლისად ამოურჩევიათ ერთი ღვთისნიერი კაცი, ევმენ ბორისენკი. შეშურებიათ ეს იმის მტრებსა და დაუწყიათ შურის-ძიება. ბევრი ჭორი და ტყუილი გაუვრცელებიათ ხალხში, რომ ევმენის სახელი როგორმე შეებღალათ. ამ ზაფხულს ერთს იმ სოფლის მემამულეს დაჰკარგვია ცხენები. ევმენის მტრებს უსარგებლიათ ამ შემთხვევით და ხმა გაუვრცელებიათ, რომ ცხენები ევმენმა მოიპარაო. ილაჯ-გაწყვეტილი ევმენი წასულა და უფროსისათვის შეუჩივლია. გამოიძიეთ ცხენების დაკარგვის საქმე, დამნაშავე აღმოაჩინეთ, რომ ჭორები მოვიშოროთ თავიდგანაო. შინ რომ დაბრუნებულა ევმენი და დაწოლილა, უეცრად მთვრალი გლეხების ხროვა შემოცვივნულა და ყვირილი დაუწყია: «სად არის ის გაიძვერა ცხენი-პარია, სად არისო? ამ საათში წამოდი ქალაქში და გამომძიებელს ჩვენება მიეციო“. გამოუყვანიათ ცემა-ტყეპით ევმენი, შეუკრავთ და «პოვოსკაში» ჩაუგდიათ წასაყვანად. როცა ერთი ნაწილი გლეხობისა ევმენს შესცვივნია, მეორე ნაწილი იმის ძმისას წასულა და, რადგან ის შინ არ დახვედრიათ, იმის ცოლისთვის წაუვლიათ ხელი და კარგად მიუტყეპიათ. ქალი შეუკრავთ, რაც რამ სახლში ჰქონია, სულ ერთიან მოუხვეტიათ და წასულან. მეორე დღეს ევმენი მკვდარი უნახავთ ნახევარ ვერსის მოშორებით თავის სახლიდგან. მკვლელები ჯერ ვერ შეუპყრიათ. ზოგნი ამბობენ, ევმენს ჯოხებით სცემეს ფეხის გულებზე, წააქციეს და წიხლით ჩაუნგრიეს გულიაო. სასტიკი გამოძიებაა თურმე, მაგრამ გლეხები უარს ამბობენ, ჩვენ არ მოგვიკლავსო.

◆◆

# წვრილი ამბები

— მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ინგლისმა გერმანიას კუნძული ჰელგოლანდი დაუთმო. თავის მგზავრობის დროს გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმა შეიარა ჰელგოლანდში და სიტყვა უთხრა ამ კუნძულის მცხოვრებლებს. იმ დროს, როდესაც იმპერატორი სიტყვას ამბობდა, ერთის ხარაზის ცოლს ვაჟი შვილი ეშობა. იმპერატორმა და მისმა მხლებლებმა შეიტყეს ეს და ერთი ამბავი შეუდგათ. საქმე იმაშია, რომ გერმანიამ ინგლისს პირობა მისცა ჰელგოლანდის აწინდელს მცხოვრებლებს სამხედრო სამსახურიდგან გავანთავისუფლებ, მხოლოდ მომავალს თაობას-კი გავიყვან ჯარშიო. ამ ახლად დაბადებულიდგან იწყება ეს ახალი თაობა, ეს ყმაწვილი გერმანიის ქვეშევრდომად დაიბადა და მაშასადამე გერმანიის ჯარში პირველად ეს უნდა გავიდეს ჰელგოლანდიდგან. იმპერატორის მხლებლებმა ყველამ თითო თუმანი ამოიღო, შეკრიბეს ამ გვარად ბლომა ფული და გადასცეს ვაჟის მამას, რომელიც დიდად გაოცდა და ვერ გამოერკვია თურმე, რა ამბავია ჩემს თავსაო.

— თავადი ბისმარკი აწონილა და ხუთ ფუთსა და ხუთს გირვანქაზე ცოტა მეტი გამოსულა. 1874 წ. ბისმარკი 5 ფუთსა და 7 გირ. იწონდა თურმე; 1876 წ.—5 ფ. და 19 გ., 1877 წ.—5 ფ. და 30 გ., 1878 წ.—6 ფ. და 3 გირ.; 1879 წ.—6 ფ. 7 გირ.; 1880 წ.—5 ფ. და 37 გირ.; 1881 წ.—4 ფ და 22 გ., 1883 წ.—5 ფ. და 2 გირ.; 1885 წ.—5 ფ. და 5 გ., 1886 წ.—5 ფ. 7 4/5 გ. და 1887 წ.—5 ფ. და 7 გ.

— საყურადღებო საჩივარი გაურჩევია სოსექსის ოლქის სასამართლოს ინგლისში. ჩიოდა თურმე ქალი გლადის კნოულესი, შვილიშვილი ადმირალ კნოულესისა, და ბრალსა სდებდა ფრანზერ დუნკანს, გამომცემელს გაზეთ „Matrimonial News“-ისას, რომ პირობა მომცა, ხარჯი გამაწევინა და შერთვით-კი არ შემირთოო და ამიტომ 250,000 მან. უნდა გადამიხადოსო. დუნკანი ქვრივი იყო თურმე და, როცა გლადისა გაიცნო, ისე აზ-

---

რი? არა, არა! წადი, მომშორდი! ნუ კი გეგონება ნურას დროს, რომ ვინანო როდისმე. შენ-კი ინანებ, მაგრამ გვიან-ღა იქნება.

გიორგი. (ხელს დაიქნევს) ეჰ, უქეიფოდ იქნები, გირჩევნია, მოისვენო.

მელო. ამასაც მოვესწარი, რომ მეუბნები, მომწყდი თავიდგანაო! გთხოვ წახვიდე და აღარ დაბრუნდე; შინ ეტყვი, რომ თითონ დავითხოვე-მეთქი. სინიდისი წმინდა შეგრჩება. მიბრძანდით! ახ, გიშლიან წასვლას, დედი ჩემის ფეხის ხმაა! მე თითონ მოგშორდები... ჯერ ხომ არ წახვალ, შინაურებს ინახულებ წასვლისას. (ტირილით) ჩემი ნახვა რა საჭიროა, ან რად მოგაგონდება! მაინც უჩემოდ ნუ წახვალ!.. (მიუახლოვდება) სიტყვა მომეცი, რო არ წახვალ, უკანასკნელი იქნება ეს დღეს ჩემს სიცოცხლეში... წახვალ, გიორგი?.. სიტყვა მომეცი, უკანასკნელი სიტყვა.

გიორგი. არ წავალ, სად უნდა წავიდე?

მელო. ღმერთო!.. (ტირილით გადის).

V გამოსვლა

გიორგი მარტო

გიორგი. (ბოლთასა სცემს) ძალიან აღელვებულია! მეც კინაღამ დავძმარდი. განა არ ვიცი, რომ ხვალვე დაავიწყდება დღევანდელი დღე! მაინც ჩემი მდგომარეობა ძალიან მეჩოთირება; მერე თელავის ჭორებს აუვალ! ქალიც ძალიან შევიჩვიე, არც ესე ვარგოდა, მაგრამ რას იზამ, ყოველ დალამებას გამოცდილება მოსდევს. მაინც ამდენი ხანი ასე დაახლოვებული ვიყავი ოჯახთან და მერე ესე უცებ სახლში სიარულის შეწყვეტა, სხვა ქალის შერთვა, როდესაც მელოს საქმროდა მთელის ქვეყანა,—რა სულელური მდგომარეობაა! განა არ შეიძლება იფიქრონ, რომ ამ ოჯახთან პატარობითვე შეზრდილი ვარ და ამიტომა ვარ ასე მიღებული? რა ბიჭი ვარ, ჩემ თავს ვატყუებ რაღა! ცუდად გავები!

VI გამოსვლა

იგივე, ბაბე და მაია შემოდიან

ბაბე. ოოო, გიორგი, მოსულხარ? სადა ხარ აქამდისინ, ცამ ჩაგყლაპა თუ დედამიწამ? როგორა ხარ?

გიორგი. კარგად გახლავართ, გმადლობთ; ცოტა საქმემ დამიჭირა.

ბაბე. ხო მორჩი საქმეს?

გიორგი. ასე მალე ვერ მოვრჩები, ძალიან გაჭიანურდა.

ბაბე. საიდუმლოა მერე შენი საქმე, რატომ არავინ ვიცით?

გიორგი. საიდუმლო-კი არ გახლავს, მაგრამ ჯერ არ მინდა ვინმე იცოდეს.

მაია. ვიცი, ვიცი, რაც საქმე გაქვს, იცი კნეინა, რა? ცოლი უნდა შეირთოს და ეხლა გურჯაანში მამულსა ყიდულობს ნასყიდობის ქაღალდი საცოლოს ნიშნად უნდა მიუტანოს. აი შე ეშმაკო, შენა!

გიორგი. ძალიან გამჭრიახე ხარ, ღვთის წინაშე, ცას თითი მიაწვდინე სწორედ.

მაია. შენ იხუმრე, იხუმრე! (ბაბე და მაია დასხდებიან) გინდა, გიორგი, მარჭანკლობა გაგიწიო? ისეთი ქალი გაგირიგო, რომ დედამიწას ჭაჭა-ჭუჭი გაჰქონდეს.

გიორგი. მე ჯერ ცოლს არ ვირთავ და როცა დავაპირებ, არ დაგივიწყებ.

მაია. ვიცი, შვილო, ვიცი! მარჭანკლების დრო წავიდა, ეხლა რაღაც სიყვარულის მოდნა შემოვიდა, ქალ-ვაჟი ისე ჩუმად მაახერხებენ ხოლმე ყველაფერსა, რო ღვდლის დაძახებასაც ძლივს მოასწრობ. სხვა დროა, შვილო, სხვა! რას მომატყუებ? გინდა რაღა უცბად, ჩუმ-ჩუმად დამზადებული ქორწილი გვაჭამო.

გიორგი. ვნახოთ.

ბაბე. გიორგი, მელო ჯერ არ გინახავს?

გიორგი. როგორ არა, აქ იყო, ცოტა უქეიფოდ შეიქმნა და თავის ოთახში გავიდა.

ბაბე. ჰო, შვილო, ეს ერთი ჭვირაა როგორღაც უქეიფოდა მყავს, მგონია, ციება ისევ დაუბრუნდა.

მაია. მერე არა სწამლობთ? ციება ცუდი ავადმყოფობაა, ქალს ზეზეურად დაადნობს.

ბაბე. აკი ქინაქინა დავალევინე, მაგრამ ვერაფერი უშველა.

მაია. ცალიერი ქინაქინა რას უშველის? აიღე ღვინის ჭიქა არაყი, შიგ ქინაქინა ჩაყარე და დაალევინე. მხოლოდ ოთახში-კი არ დალიოს, გაიდეს დილა ადრიან ცისკრების დროს გაშლილს მინდორზედ და იქ გადაჰკრას. თუ ციება თავის დღეში დაუბრუნდეს, თავი მამჭერით.

ბაბე. შენა გგონია დალევს მაგრე? ძალიან ჯიუტი ხასიათისა მყავს.

მაია. არა, ჭკვიანი ქალია, დალევს, ან რა ჭკვაა, არ დალიოს, ერთი სიმწარე არა სჯობს ათას სიმწარეს?

ბაბე. უნდა ვცადო როგორმე. მაინც მელოს ისეთი არა სჭირს-რა, ეხლა მე მარტო თამაზის საქმე მაფიქრებს. დაუჟინია, მინდა უეჭველად ქალაქში წავიდეო, მინდა ერთხელ მაინც თავად აზნაურობის კრებას დავესწროო. კრება-კი არ უნდა, ქალაქის ნახვა უნდა. აბა, გიორგი, ფული სადა აქვს? კურდღელაურის ვენახს დაუგირავებ იალალაშვილსაო, ერთი სამოციოდე თუმანს მომცემს და მე მეყოფაო... გაგონილა? ვერას გზით ვერ დავაჯერე, სოლდო ხომ ეჩხუბა კიდეც, მაგრამ ხომ იცი, რა თავის ნება ადამიანია. გიორგი, შენ მაინც როგორმე დააჯერე, თორე დაგვღუპა, მაგ ვენახის მეტი ცხოვრების სახსარი რა გვაქვაეია.

გიორგი. არ იზამს მაგას, განა ოჯახის მდგომარეობას ვერა ჰხედავს?

ბაბე. საქმეც ეგ არის, რომ დაუდევარია, თორემ იმოდენა მამულიდგან ერთი ვენახი და ნახევარ წისქვილი დარჩებოდა? აი სოლოც უსაქმოდ დადის, ეხლანდელ დროში სად იშოვნი ადგილს? დიდი სწავლა გათავებულებიც ულუკმა-პუროდ სხედან და მაგას ვინ მისცემს? ღმერთმა აღდეგრძელოს მაზრის უფროსი აღგილს დაჰპირებოდა თამაზს, ოც-დახუთი მანეთი ექნება ჯამაგირიო. მოვიდეს ჩემთანაო, ხელს გავუსინჯავო, თუ კარგი აქვს, ჩემთან ვამყოფებო, თუ არა და, ოც-და-ხუთი მანეთი მაინც ექნებაო. ადვილი სამსახურია, ქაღალდები უნდა წეროსო. სოლოც მამის ხასიათისაა, არ ვიცი, იყო, თუ არა?

მაია. კაი მოწყალებაა, თქვენმა მზემ! ოცდა-ხუთი მანეთი მაინც კაი შესამატია ოჯახში.

ბაბე. აჰ, მაი, არა გვინდა რა მაგისი, ოღონდ თავისთვის იყოს.

მაია. შენც, კნეინავ, როგორა ლაპარაკობ? მაშ რად გინდა შვილი, თუ შვილობას არ გაგიწევს? ცუდად ყოფნამ გაუფუჭა ცოტა გული, თორემ სოლოს ოქროს ხასიათი აქვს.

ბაბე. მართალს ამბობ, მაი, გული გატეხილი აქვს ძალიან ისე, ხომ ყოველთვის მხიარულია, მაგრამ ხანდახან ისე დაღონდება ხოლმე, რომ იმის მაყურებელს გული მიკვდება. აგერ მიდიან.

(შემდეგი იქნება)

ვენა თავი, მე შევირთავდი, მაგრამ 63 წლისა ვარო. ქალს უვან არ დაუჩქევია და როცა სიყვარული გამოუცხადებია ფრაზერს, გლადისა დასთანხმებია და ქორწილის მზადებას შესდგომიან, თუმცა ქალის დედა უარზედაც მდგარა პირველში. დუნკანს ბევრჯელ მოუგონია სხვა-და-სხვა მიზეზი და ქორწილი გადუდვია. ამას გარდა ხშირად სცდილობდა თურმე ქალის შესცდენას, მაგრამ გლადისა არ დაჰყვა. ამ ამბავმა რამდენსამე თთვეს გასტანა. ბოლოს, რომ ველარა გაუწყია-რა, დუნკანს პირდაპირ გამოუცხადებია, რომ ვერ შევირთავო. სასამართლოში რომ მისულა გლადისა, უველაფერი დაწვრილებით უამბნია მსაჯულებისათვის და მაშინვე გულს შემოჰყრია. დარბაზიდგან ხელით გაუტანიათ საწყალი 21 წლის გლადისა. დუნკანი სასამართლოს დამნაშავედ უცვნია და ათი ათასი მანათი გადაუხდევინებია.

— საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შემდეგი სასაცილო ამბავი შემთხვევია კუნძულ რეზე მისვლის დროს. მერის მოლოდინის წინაალმდეგ პრეზიდენტი 10 წუთით ადრე მისულა ლაკუარდში და მერს მისაგებებელი სიტყვის დაწერა ვერ დაუსრულებია. „დანიშნულს დროზე 10 წუთით ადრე მობრძანდითო, უთქვამს მერსა და თან საათში ჩაუხედნია — ამიტომ ვერ მოვასწარ, დამეთავებინა ჩემის სიტყვის დაწერა და გთხოვთ, ნება მიბოძოთ, მხოლოდ ის წავიკითხო, რაც დაწერილი მაქვსო. როცა მერმა გაათავა თავისი ნახევარი სიტყვა, პრეზიდენტმა ამისთვისაცა იმ მეორე დაუწერელ ნახევარისთვისაც გადაუხდა თურმე მადლობა.

# დეპეშა

21 აგვისტო

პეტერბურგი. ზღვათა სამინისტროს მმართველი ნიკოლაევსა და სევასტოპოლს წავიდა, ხოლო შემდეგ ერთის თთვით დათხოვნილია.

პროფესორი წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტისა ფორტინსკი დანიშნულია ამავე უნივერსიტეტის რექტორად პროფესორის რენნენკამფის მაგიერ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. დღეს, ნაშუადღევის 4 საათზედ, გუბერნატორთან მოვიდა ერთი ყმაწვილი კაცი და სთხოვა, რომ ცალკე მინდა გნახოთ, რადგან ერთი ფრიად საყურადღებო საიდუმლო უნდა გაგიზიაროთო. როცა კაბინეთში შეიყვანეს, მივიდა გუბერნატორთან, ამოიღო რევოლვერი და პირდაპირ უნდოდა ესროლნა. გუბერნატორი არ დაბნეულა და მაშინვე დაუჭირა ყმაწვილ კაცს ის ხელი, რომელშიაც რევოლვერი ჰქონდა. დაიწყეს ბრძოლა, რევოლვერი გავარდა და იატაკს მოხვდა, ასე რომ გუბერნატორი არც-კი გაუკვნწლავს. ყმაწვილი კაცი დაპატიმრებულია და გვარად ვლადიმიროვს იძახის. ეს ამბავი ერთს წუთს მთელს იარმუკას მოედო და დიდ-ძალი ხალხი მივიდა გუბერნატორთან თავის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად.

პენზა. 19 აგვისტოს ცეცხლმა დიდი ზარალი მისცა ქალაქ ნაროვჩატს, ერთიანად გადაიწვა სლობოდები, შენახული პური და ქონება. იქვე სარევიზიოდ მყოფი გუბერნატორი სოფლოშში დარჩა დაზარალებულთა შემწეობის საქმის მოსაწყობად.

პეტერბურგის ბირჟა, 21 აგვისტო.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6 51 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 130¼ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 11 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 228½ | — „ | — „ |
| — მეორისა . . . . . | — „ | — „ | 219 |
| — მესამისა. . . . . | — „ | — „ | 211¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

# განცხადებანი

1 სექტემბრიდამ ამა წლისა იქმნებიან წინამძღვარიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში მიღებულნი ჯან-მრთელი ყმაწვილები არა ნაკლებ ათის წლისა ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს, სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამღვარიშვილს (მომრიგებელ მოსამართლეს) ქ. ტფილისში, ანუ სკოლის ზედამხედველს თ. ერმილე კაციას ძეს ნაკაშიძეს ს. წინამძღვარიანთ-კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს, განყოფილებაში შესვლას მოინდომებს იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურს შეადგენენ: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაკტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლის და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება მეფუტკრობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკლესიო და საერო გალობა, 6) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ: სწავლას, და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ, უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებიან ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქვთ, სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორ მხრიდამ მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვარიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შაგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯერობით თთვეში შვიდი მანეთი (ფულის მაგიერ შეუძლიან მშობლებმა შემოიტანონ ხორაგეული) შემდეგში სკოლის მმართველობა ეცდება, ეს ფასი შეამციროს. ყმაწვილს დილა საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი, თითო კერძი: ხანილში სახსნილო და მარხვაში სამარხო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს შეაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: ნახევარი წლის შესანახი ფული 42 მანათი პირველ სექტემბერს და მეორე ნაწილი, 42 მანათი, პირველ იანვრამდე. ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, მაშინ შაგირდი დათხოვნილი იქნება სადგურიდგან და გაიგზავნება თავის მშობლებთან. ამისთვის მშობლებმა, ვიდრე შვილს მიაბარებენ სასწავლებელში, წინად უნდა სკოლაში შემოიტანონ ყმაწვილის გასაგზავნად ერთი თუმანი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კრაოტი (შეუძლიან შემოიტანოს სამი მანათი კრაოტის სასყიდლად), ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. უკეთუ ყმაწვილი სადგურიდამ მეორედ ფულის შემოტანის ვადამდე გავა, მას შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ფული და ყოველივ გვარი წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Станція Мцхетъ · смотрителю Цинамзгваріантъ - карской сельскохозяйственной школы кн. Ер. К. накашидзе.


## დეპო რიკრიკებისა

გამართული გვაქვს დეპო რიკრიკებისა და კურსი გამოჭრისა და გადაკეთებისა კაცისა და ქალის საგანგებო ტანისამოსისა და კორსეტებისა. სამაგალითო რიკრიკები გვაქვს და 50 კაპ. ვყიდით თითო ცალს შინაურისა და სხვა სახელოსნოთათვის. ტანისამოსის გამოჭრის სასწავლებელი. ვასწავლით ყოველ გვარ სახის ტანისამოსის გამოჭრას. ამას გარდა ვწმენდავთ დალაქავებულს ტანისამოსს, ფარდებს, არშიებს, ტყავებსა და სხვ. სხვა ქალაქებიდგან შემონაკვეთს დაუყოვნებლივ ვასრულებთ.

ი. გ. დეიკარხანოვი, მიხეილის ქუჩაზედ, № 53. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა - კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ - მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის საამიერო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმოდ:

## ვერმორელის აპარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (СѢРНЫЙ ЦВѢТЪ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმოდ“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.

(50—35)




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი

გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა

ბერლინში

და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული

ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,

მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

## ფოლადის გუთნები

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ-სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.

ინგლისური საწიავებელი, გორველის გამომრჩევი და სხვანი.

სამკალი მაშინა.

სათიბი მაშინა

ფოცხები, სათესი მაშინები, საროში და სხვანი.

რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—51)

ყმაწვილი კაცი ეძებს გაკვეთილებს

და

ზომიერ ფასად

შეგირდებს ამზადებს გიმნაზიისა, რეალურ და საიუნკრო სასწავლებლისა და ინსტიტუტის ყოველ კლასში შესასვლელად. ჰკისრულობს აგრეთვე რეპეტიტორობასაც. მსურველს ქართულის ენის გაკვეთილებსაც აძლევს. ადრესი იკითხეთ «ივერიის» რედაქციაში. (5—4)

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (10—4)


Доз. ценз Тифлисъ, 22-го Августа 1890 г. Типо-Литографія К. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე